სალიცენზიო ხელშეკრულება

ერთი მხრივ შპს პატენტმარკეტ.ბიზ წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დონაძის სახით (შემდგომში ლიცენზიარი) მეორე მხრივ კომპანია (შემდგომში "ლიცენზიატი"),ერთობლივად წოდებულნი, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც მხარე, ვთანხმდებით და ვდებთ მომსახურების ხელშეკრულებას შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პატენტის უფლების გამოყენების გადაცემა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. კერძოდ, ლიცენზიარი, რომელიც უფლებამოსილია განკარგოს დაპატენტებული ლიცენზიები, უფლებას აძლევს ლიცენზიატს, ვებ საიტის მეშვეობით, მოახდინოს მარტივი ლიცენზიის შეძენა დიზაინზე და მათი გამოყენება მხოლოდ სამრეწველო მიზნით.

1.2. ლიცენზიარის მხრიდან, ლიცენზიატი იღებს, მხოლოდ წარმოების უფლებას. დიზაინში ცვლილებების შეტანის შემდეგ მისი, როგორც დიზაინის გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, განათხოვრება ლიცენზიატს ეკრძლება.

2. ანგარიშსწორების წესი:

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებისათვის თანხას ლიცენზიატი " ლიცენზიარს უნაზღაურებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ვებ გვერდზე განთავსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის შესყიდვის დღიდან და მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება 5 წლის ვადით.

4. მხარეთა უფლება-ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1. ლიცენზიარი ვალდებულია:

- ლიცენზიატს გადასცეს მხოლოდ იმ პატენტის უფლება, რომლის განკარგვის უფლება აქვს პატენტმფლობელისგან.
- საიტზე განათავსოს მხოლოდ ის ნახაზები, რომლის განთავსების უფლება აქვს მინიჭებული მესამე პირებისაგან.
- ტექნიკური უზუსტობის შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება 48 საათის განმავლობაში.
- ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემძენს დაუბრუნოს გადახდილი თანხის 70%.

ლიცენზიატი ვალდებულია:

- განახორციელოს საიტზე განთავსებული საზღაურის გადახდა.
- პატენტის გამოიყენოს მხოლოდ სამრეწველო მიზნებისთვის.
- ტექნიკური უზუსტობის შემთხვევაში 48 საათის განმავლობაში მიმართოს საიტის ადმინისტრაციას.

მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით ითანამშრომლონ, მიაწოდონ ერთმანეთს სათანადო მომსახურება, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, დათქმულ ვადებსა და პირობების შესაბამისად.

სპეციალური პირობა: ლიცენზიატი - საფასურის გადახდის შემდეგ იღებს, მხოლოდ ნახაზის პროგრამული ფაილის შესაბამისად მიღებული დიზაინის წარმოების უფლებას. დიზაინში

ცვლილებების შეტანა, შემდეგ მისი, როგორც დიზაინის გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, განათხოვრება ლიცენზიატს კატეგორიულად ეკრძლება! ასეთი შემთხვევის დადგომისას ლიცენზიატი ვალდებულია ჯარიმის სახით გადაიხადოს 50 000 აშშ დოლარი, როგორც ერთჯერად საურავი და გარდა ამისა, მხარეს დაეკისრება სასამართლო და საპროცესო ხარჯების სრულად ანაზღაურება ლიცენზიარის სასარგებლოდ. ლიცენზიარტი გადავა შავ სიაში და მომვალში ვერ შეძლებს ვებ-საიტთან თანამშრომლობას.

5. დავების განხილვა

5.1 ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებების გზით. ამ გზით ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა/ გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

6.1 “მხარეები” აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:
 რომ თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს. ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. მხარეები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.